საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1133
29.11.2024

ბრძანება

1133-01-4-202411291445

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოთხოვნილი ინფორმაციის განმეორებით მიუწოდებლობის გამო შპს ,,მიკადო ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 202393551) ჯარიმის დაკისრების შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. ,,ფ/პ ნიკოლოზ ჯანჯალაშვილისა (პ/ნ) და ი/მ ვახტანგ მჟავანაძის (ს/ნ) საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 14 ნოემბრის N04/834-ე და ,,საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 14 ნოემბრის N04/834 ბრძანების საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ვადის გაგრძელების, შპს ,,მიკადო ჯორჯიას“ (ს/ნ 202393551) მოპასუხე მხარედ ჩართვისა და მოკვლევის ჯგუფის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - ,,სააგენტოს“) თავმჯდომარის 2024 წლის 19 აპრილის N04/342-ე ბრძანებების შესაბამისად, სააგენტოში მიმდინარეობს საქმის მოკვლევა შპს ,,რუსთავის ავტობაზრობის“ (ს/ნ 416289377) და შპს ,,მიკადო ჯორჯიას“ (ს/ნ 202908513) მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

1.2. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, სააგენტომ შპს „მიკადო ჯორჯიასგან“ (ს/ნ 202393551) გამოითხოვა ინფორმაცია (თარიღი: 23.07.2024; რეგ: N 02/2723). მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან ელ-ფოსტის მეშვეობით იმავე დღეს იქნა დადასტურებული სააგენტოს მიერ გაგზავნილი წერილის ჩაბარების ფაქტი. ამავე წერილის საფუძველზე, ინფორმაციის გამოთხოვის ვადა შემდეგნაირად განისაზღვრა - 2024 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

1.3. 2024 წლის 30 აგვისტოს, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების წარმომადგენელმა ითხოვა სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადის გაგრძელება ამავე წლის 13 სექტემბრის ჩათვლით (თარიღი: 30.08.2024; რეგ: N 01/4418), რაც დაკმაყოფილდა სააგენტოს საპასუხო კორესპონდენციის საფუძველზე (თარიღი: 02.09.2024; რეგ: N 02/3210).

1.4. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, შპს „მიკადო ჯორჯიამ“ (ს/ნ 202393551), სააგენტოს მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადაშიც **არასრულად წარმოადგინა** გამოთხოვილი ინფორმაცია და კვლავ ვადის გაგრძელება ითხოვა, ამჯერად არაუგვიანეს 2024 წლის 07 ოქტომბრისა (თარიღი: 16.10.2024; რეგ: N 01/4694).

1.5. სააგენტომ ეკონომიკურ აგენტს განუმარტა, რომ ის არ არის უფლებამოსილი არაუმეტეს ერთჯერადად გაახანგრძლივოს გამოთხოვილი ინფორმაციის მოწოდების ვადა და იგი გააფრთხილა გამოთხოვილი ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდების ვალდებულების თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგზე მითითების ჩათვლით (თარიღი: 16.09.2024; რეგ: N 02/3412).

1.6. ამავე წერილის ჩაბარება ელ-ფოსტის მეშვეობით დაადასტურა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელმა. მომდევნო ეტაპზე, 2024 წლის 09 ოქტომბერს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელმა სააგენტოს კვლავ არასრული სახით მიაწოდა გამოთხოვილი ინფორმაცია (თარიღი: 09.10.2024; რეგ: N 01/5153). გარდა აღნიშნულისა, სააგენტოს კანცელარიამ 2024 წლის 28 ოქტომბრის მდგომარეობით დაადასტურა, რომ ამავე წლის 09 ოქტომბრის შემდეგ, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან სააგენტოსთვის მოწოდებული არ არის რაიმე სახის წერილობითი კორესპონდენცია ელ-ფოსტის ან/და საქართველოს ფოსტის მეშვეობით.

1.7. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ იხელმძღვანელა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე კომპანია შპს „მიკადო ჯორჯიას“ (ს/ნ 202393551) სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 ოქტომბრის ბრძანების (რეგ: N 04/1035) შესაბამისად, სააგენტოსთვის მოთხოვნილი ინფორმაციის ვადის დარღვევით და არასრულად მიწოდების გამო, დააკისრა ჯარიმა 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით ოდენობით.

1.8. ამავე ბრძანების (თარიღი: 29.10.2024; რეგ: N 04/1035) საფუძველზე, შპს „მიკადო ჯორჯიას“ (ს/ნ 202393551) საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ 2024 წლის 23 ივლისის (რეგ: N02/2723) წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში სრული სახით მოწოდების ვალდებულება დაეკისრა.

1.9. აღნიშნული ბრძანება (თარიღი: 29.10.2024; რეგ: N 04/1035), სააგენტოს წერილის საფუძველზე (თარიღი: 29.10.2024; რეგ: N 02/3965), საქართველოს ფოსტის მეშვეობით 2024 წლის 01 ნოემბერს ჩაბარდა ადრესატის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენელს

1.10. მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან ინფორმაცია წარმოდგენილია 2024 წლის 13 ნოემბერს (რეგ: N 01/5748) ე.ი. სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, თუმცა კვლავ არასრული სახით.

1.11. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 18 ნოემბრის ბრძანების (რეგ: N04/1099) საფუძველზე, შპს ,,მიკადო ჯორჯიას“ (ს/ნ 202908513), ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად დაეკისრა ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

1.12. აღნიშნული ბრძანება (თარიღი: 18.11.2024; რეგ: N04/1099), სააგენტოს წერილის საფუძველზე (თარიღი: 18.11.2024; რეგ: N 02/4526), საქართველოს ფოსტის მეშვეობით 2024 წლის 20 ნოემბერს ჩაბარდა ადრესატის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენელს

1.13. ამავე ბრძანების (თარიღი: 18.11.2024; რეგ: N04/1099) საფუძველზე, შპს ,,მიკადო ჯორჯიას“ (ს/ნ 202908513) საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ 2024 წლის 23 ივლისის (რეგ: N 02/2723) წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში სრული სახით მოწოდების ვალდებულება დაეკისრა.

1.14. მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან საპასუხო კორესპონდენცია წარმოდგენილია 2024 წლის 26 ნოემბერს (რეგ: N 01/5976) ე.ი. სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, თუმცა გამოთხოვილი ინფორმაცია განმეორებით არ არის მოწოდებული.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

2.2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის შემთხვევაში, ასევე არასრული ინფორმაციის მიწოდებისას, ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს დააკისროს ჯარიმა ამ კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად.

2.3. „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

2.4. ,,საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების (№ 40) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ინფორმაციის მიუწოდებლობად არ ითვლება სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დასაბუთებული პასუხი მოთხოვნილი ინფორმაციის არქონის შესახებ.

2.5. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მეორე პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, სააგენტოს მიერ ხელახლა განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობის

შემთხვევაში, იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა ხუთი ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფიზიკურ პირს – სამი ათასი ლარის ოდენობით.

2.6. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. 2024 წლის 18 ნოემბრის წერილის (რეგ: N 02/4526) პასუხად, შპს ,,მიკადო ჯორჯიამ“ (ს/ნ 202393551) განმეორებით არ წარმოადგინა გამოთხოვილი ინფორმაცია.

3.2. 2024 წლის 18 ნოემბრის (რეგ: N 02/4526) წერილთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ ინფორმაცია გამოთხოვილია „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს წერილში (თარიღი: 18.11.2024; რეგ: N 02/4526) მითითებულია ყველა ის მონაცემი, რომელთა მითითებაც მოთხოვნილია „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე. სააგენტო განმარტავს, რომ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ის ვალდებულია დაიცვას მისთვის ცნობილი ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული ვალდებულების არსებობა არც ერთ ეკონომიკურ აგენტს არ ანიჭებს უფლებას სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში გამოთხოვილი ინფორმაცია არ წარმოადგინოს.

3.3. შპს ,,მიკადო ჯორჯია“ (ს/ნ 202393551) ვალდებული იყო წარმოედგინა სააგენტოსთვის საქმის მოკვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი

გარემოებების დადგენა/დაზუსტებისათვის საჭირო და სააგენტოს შესაბამისი წერილებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

3.4. სახეზე არ არის ,,საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის ბრძანების (№ 40) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მხარის დასაბუთებული განცხადება, მოთხოვნილი ინფორმაციის არქონის შესახებ.

3.5. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, სააგენტოსთვის ინფორმაციის მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის შემთხვევაში იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და 32-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. დადასტურდეს შპს „მიკადო ჯორჯიას“ (ს/ნ 202393551) მხრიდან, სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში განმეორებით მიუწოდებლობის ფაქტი.

2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს „მიკადო ჯორჯიას“ (ს/ნ 202393551) დაეკისროს ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

3. ბრძანება მისი მიღებისთანავე გადაეგზავნოს შპს „მიკადო ჯორჯიას“ (ს/ნ 202393551).

4. ბრძანება გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე